საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლა ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

2023-2029 წელი

სკოლის მისიიდან გამომდინარე გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის წარმატებით დანერგვა დაწყებით და საბაზო, მომდევნო წლებში სამივე საფეხურზე, შედეგზე ორიენტირებული სწავლა სწავლების ხარისხის განვითარების საფუძველზე ხელს შეუწყობს სკოლის საერთო კულტურის განვითარებას, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პატრიოტული აღზრდა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების დამკვიდრება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა, გარემოს დაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება, სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება, მდგრადი განვითარების მიზნების სასწავლო პროცესში ჩართვა, ტექნოლოგიების ინტეგრაცია საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესში.

გეგმა ითვალისწინებს სკოლის საქმიანობის მუდმივ განახლებასა და სრულყოფას თვითშეფასების, რეფლექსიის, ანგარიშების, ანალიზის საფუძველზე მოსწავლეთათვის სასწავლო პირობების გაუმჯობესებას საფეხურების მიხედვით პედაგოგთა პროფესიული წინსვლას და კვალიფიციური კადრების მოზიდვას, სკოლის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზებას. სკოლის უმთავრესი პრიორიტეტია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

ექვსწლიანი გეგმა არის საორიენტაციო. შესაბამისად შემუშვდება ყოველწლიური გეგმები.

სტრატეგიული მიზნები:

I. **სკოლის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;**

მიზანი: საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საკანმდებლო დოკუმენტების, ცვლილებების დროული მიღება და სათანადო რეაგირება.
ამოცანები: ა)მოქმედი საკანონდებლო დოკუმენტების საფუძველძე სასკოლო დოკუმნეტაციის წარმოება;
პასუხისმგებელია; შესრულებაზე სკოლის დირექტორი

ბ) ცვლილებებზე დროული რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში კონსულტაცია შუახევის რესურსცენტრის იურიდეულ სამსახურთან.

განხორციელების ვადა: სასწავლო წლის განმავლობაში(ყოველწლიურად)
ანგარიშგების პერიოდი: სემესტრის დასასრული, საჭიროების შემთხვევაში, ვითარების შესაბამისად.
პასუხისმგებელი პირები: სკოლის დირექტორი და საქმისმწარმოებელი:

შეფასების ინდიკატორები:

- სკოლის დოკუმენტაციის შესაბამისობა საკანონმდებლო ცვლილებებთან
- სასკოლო გეგმის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
- სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული სკოლის საკანონმდებლო დოკუმენტების სამართლებრივი მხარე
- სასკოლო დოკუმენტების დაცვის და შენახვის უსაფრთხოება, საიმედოობა.

II. სასკოლო სასწავლო გეგმის თავსებადობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

მიზანი: ა) სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის სისტემა, სამართლებრივი და მოქალაქეობრივი აღზრდის პრინციპების დამკვიდრება და განვითარება

ბ) ეროვნიული სასწავლო გეგმის განხორციელება.

გ) ონლაინ პლატფორმაზე სწავლების პირობებში სწავლა-სწავლების ხარისხის შენარჩუნებაზე ზრუნვა.

ამოცანები:

- ორიენტირება ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესრულებაზე.
- ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის მიზნით სადამრიგებლო საქმიანობის ორგანიზება;
- ე.ს.გ პრიორიტეტული თემების შესაბამისი პროექტების შედგენა და შემუშავება - პროექტების განხორციელება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით
- თანაბრად კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის;
- მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცოდნის ჩართვა სასწავლო პროცესში;
- ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილგანწყობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ცოდნის ჩართვა სასწავლო პროცესში;
- წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების უნარების განვითარებისთვის აქტივობების შემუშავება და დანერგვა;
- მშვიდობის კულტურის ჩამოყალიბებისთვის ადამიანისა და ბავშვთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა, ძალადობისა და ტრეფიკინგის რისკის თავიდან აცილებისთვის პრობლემის განხილვა;
- კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და მდგრად განვითარებაში კულტურის მიერ შეტანილი წვლილის გააზრება
- სოციალური პროექტების მომზადება წყლის გამოყენების კულტურისა და კლიმატის ცვლილების ზეგავლენის პრობლემებთან დაკავშირებით;
- ეკოსისტემის დაცვასთან დაკავშირებით ტყეების გონივრულად მართვის ტრადიციული საქმიანობის შესწავლა ზემო აჭარაში;

- სასკოლო საგნების მიხედვით მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად შეფასების მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები გამოიყენება
- მოსწავლეთა შეფასებაში ორიენტირება განმავითარებელი შეფასების მოსწავლეთა განვითარებისათვის გამოყენებაზე
- საგნობრივ ოლომპიადებსა და შემოქმედებით კონფერენციებში მოსწავლეთა ჩართულობა.
- სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გამოყენება მიღწეული შედეგების ხარისხის ამაღლებისათვის
- ონლაინ სწავლების პირობებში განსახორციელებელი სასწავლო საქმიანობის მიზნობრივი დაგეგმვა.

განხორციელების ვადა: პერიოდულად, ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისი-დასასრული.
ანგარიშგების პერიოდი: სასწავლო წლის დასაწყისი - რა არის გადსაკეთებელი? სასწავლო წლის დასასრული - რა გაკეთდა?
პასუხისმგებელი პირები: დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, საგნობრივი კათედრების გამგეები.

ინდიკატიორები:

- ე.ს გე სასწავლო გეგმის შესაბამისობა (სასწავლო საგნობრივი ბადე, შეფასება, მეთოდიკური ორიენტიორები და სხვა ძირითადი საკითხები.
- საგნის მასწავლებელთა თვითშეწგფასების ანგარიში
- საგნობრივი კათედრების თავჯდომარეთა ანგარიშის ანალიზი
- კლასის დამრიგფებელთა რეფლექსიების ანალიზი
- ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი განვითარების განხორციელების ეფექტურობა.
- „პროექტული სასწავლებლის“ ასახვა სასწავლო პროექტებში
- სასკოლო პრიოექტის შეწსრულება, შედეგებეი, გამოყენება
- მოსწავლეთა დამოკიდებულება სასწავლო პროექტებში მ ონაწილეობასთან დაკავშირებით.
- სოციუალური პროექტები და მათი პრეზენტაციების ეფექტიანობა,
- წიგგნიერების უნარების განვითარებისთვის შემუშავებულიო და გამოყეყებული აქტივობების აღწერა
- მდგრადი განვითარების ნიზნების ასახვა სხვა დასხვა სახის ღონისძიებებში;
- მოსწავლეთა კპნკურსებში, ოლომპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობის სტატისტიკური მაჩვენებელი
- თანამშრომლობითი კულტურის ამსახველი მასალების ანალიზი.

III. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მიზანი: მასწავლებელთა პროეფსიული განვითარებაზე ზრუნვა სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.
ამოცანები:
ა) ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციების განსაზღვრა.
ბ) სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნვეყოფისათვის ხარისხის მართვის პროგრამის შედგენა და განხორციელება;

გ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერულ წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის შედგენა და განხორციელება
დ) საგნობრივი კათედრების როლის ამაღლება სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარებისათვის.
განხორციელების ვადა: პერიოდულად, სასწავლო წლის განმავლობაში, დასაშვებია ცვლილებები საჭირიოების შემთხვევაში.
ანგარიშგების პერიოდი: სასწავლო წლის დასაწყისი - რაა გასაკეთებელი? მეორე სემესტრის ბოლოს - რა გაკეთდა? სასწავლო წლის დასასრული - სასწავლო წელში მიღწეული შედეგი და მომავალი სასწავლო წლის პერსპექტივების ხედვა.
პასუხისმგებელი პირები: სკოლის დირექტორი, მოადგილე სასწავლო დარგში, ხარისხის მართვის ჯგუფი.

ინდიკატორები

- სწავლება-სწავლის ხარისხის პროგრამის შესრულების დასაბუთება თვითშეფასებით, ანგარიშებით, რეფლექსიებით.
- მასწავლებელთა პროფესიული სტატუსის შესანარჩუნებელი აქტივობების ანალიზი
- საგნობრივი კათედრების მიერ განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მათ შორის შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შედეგები.
- მასწავლებელთა მიერ გარე ტრენინგებში მონაწილეობის სტატისტიკა და მიღებული გამოცდილების გაზიარება.

IV. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემის განვითარება და კომპიუტერიზაცია.
მიზანი:
ა)მასწავლებეთა მიერ ისტ - ის ტექნოლოგიების ფლობის უნარების განვითარება
ბ)სასკოლო ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესების დაცვა.
გ) კომპიტერული ტექნოლოგიების გამოყენების ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, არსებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლება.
განხორციელების ვადა: ყოველი სასწავლო წლის დასაწყისი და დასასრული
ანგარიშგების პერიოდი: სასწსავლო წელს ყოველი თვის პირველი კვირა.
პასუხისმგებელი პირები: დირექტორის მოაგილე და IT მენეჯერი

ინდიკატორები:

- ისტ გამოყენების სიახლეების შესაბამისი ხედვების გააზრება, გამოყენება.
- ორიენტირება ისტ გამოყენების პროცესებზე- როგორია განვითარების დინამიკა.
- ისტ ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად გაწეული მუშაობა (ვებინარები, ტრენინგები).

V. მატერიალური და საწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

მიზანი: მატერიალური, სასწავლო რესურსების განახლება, დაცვა და საჭიროებისამებრ გამოყენება.

ამოცანები:

ა) საკლასო ოთახებში, სპორტულ დარბაზში, საწრეო მუშაობის ოთახებში ვარგისი, ასაკის შესაბამისი ინვენტარით და საჭირო სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა.

ბ) ლაბორატორიაში ახალი მასალების აღჭურვა დაშვებული პარამეტრების მიხედვით

გ) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრება მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით.

განხორციელების ვადა: სასწავლო წლის დასაწყისი, საჭიროების შემთვევაში სასწავლო წლის ნებისმიერი პორიოდი.

ანგარიშგების პერიოდი: სასწავლო წლის დასაწყისი, საჭიროების შემთხვევაში.

პასუხისმგებელი პირები: მოადგილე სამეურნეო დარგში.

ინდიკატორები:

- მატერიალური რესურსების განახლების ასახველი ,მასალა.

- სასწავლო თვალსაჩინოებების განახლების ვითარება, შეძენა-გამოყენება.
- ბიბლიოთეკაში ახალი მეთოდური ლიტერატურის შეძენა, ინფორმაცია, ელექტრონული ვერსიები.
- მონაცემთა ბაზების სრულყოფისათვის განხორციელებული საქმიანობა(შეძენა, გამოყენება, შედეგის ხარისხიანობა).

VI. **პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა**

მიზანი: სასკოლო დროის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად სათანადო რეკომენდაციებისა და წესების დაცვა

ამოცანები:

ა) პანდემიის პირობებში რეკომენდირებული ყველა წესის დაცვის უზრუნველყოფა

ბ) საკოლო დროის უსაფრთხოების წესების დაცვისათვის ღონისძიებათა შემუშავება

გ) გათბობის სისტემის გამართულობა.

დ) ელექტროენერგიისა და სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა

ე) სკოლის ექიმის/ექთნის მუშაობის ორგანიზება პროფილაქტიკური მიმართულებით

ვ) სასწავლო წლის განმავლობაში წამოჭრილ პრობლემათა დაძლევა.

განხორციელების ვადა: სასწავლო წლის განმავლობაში.

ანგარიშგების პეერიოდი: პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში ყოველდღიურად, ინფორმაცია სკოლის დირექციაში.

პასუხიუსმგებელი პირები: მოადგილე სამეურნეო დარგში, კლასის დამრიგებლები

ინდიკატორები

- პანდემიის პირობებში რეკომენდირებული შესრულების ვითარებასკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭირო მუშაობისათვის (გათბობის გაუმჯობესება, წყლით მომარაგება, მიმდინარე რემონტი).მზაობა.
- სასწავლო დროში უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის მოქმედების ეფექტურობის მაჩვენებელი
- სიტუაციები, საჭიროება, შედეგები.

VII. მოსწავლეთა უზრუნველყოფა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლობლებები

მიზანი: ყველა მოსწავლის, მათ შორის სსსპ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით.

ამოცანები:

ა) კეთილგანწყობილი, მშვიდობიანი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა სასწავლო რესურსზე ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებაზე

ბ) სსსპ მოსწავლეებთან მუშაობის ახალი მიდგომების გაცნობა, სათანადო წესის შემუშავება, რომლის მიხედვითაც სკოლა საჭიროების შემთვევაში იმოქმედებს.

გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეკომენდაციების გამოყენების შესაძლებლობების გაცნობიერება,

დ) ადაპტირებული გარემოს შექმნა

განხორციელების ვადა: საჭიროებვის შემთხვევაში

ანგარიშგების პერიოდი: განისაზღვრება საჭიროებების მიხედვით.

პასუხისმგებელი პირები: დირექტორი, მოადგილე სასწავლო დარგში

ინდიკატორები:

- მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი;
- ადაპტირებული გარემოს შესაბამისობა სტანდარტებთან
- სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მზადყოფნის ხარისხი სსსპ მოსწავლეთა არსებობის შემთხვევაში მოსალოდნელი რისკების გამვლობაში

VIII. სასკოლო საზოგადოების წევრთა, მათ შორის მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა

მიზანი: სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენასა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისათვის სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის განვითარება

ამოცანები:

ა) სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფორმებისა და შესაძლებლობის განვითარება და გაფართოერბა

ბ) სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ეფექტური გზების ძიება

გ) კვლევების ჩატარება არსებული ვითარების შესაფასებლად და განვითარების გზების განსაზღვრისათვის
განხორციელების ვადა: სასწავლო წლის განმავლობაში
ანგარიშგების პერიოდი: სასწავლო წლის დასაწყისი, შუალედები სასწავლო წლის სემესტრის განმავლობაში და სასწავლო წლის დასასრული, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდი.
პასუხისმგებელი პირები: საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეები, მშობელთა წარმომადგენლები საფეხურების მიხედვით

ინდიოკატორები:

- სასკოლო საზოგადოების მიერ განხორციელებული აქტივობების შემოთავაზებების, წინადადებების მიღებისა და განხორციელების ანალიზი
- მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის აქტივობები კლასების მიხედვით.
- ჩატარებული კვლევების შედეგების გამოყენებას განვითარებისთვის.

IX სკოლის ექვსწლიანი განვითარების გეგმა ღიაა ცვლილებებისა და სიახლეების დანერგვისათვის.

X. გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

სასწავლო წლის ბოლოს მიმართულებების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი
(დასაშვებია მონიტორინგი სასწავლო წლის განმავლობაშიც)

მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის ექვსწლიანი გეგმიდან რა შესრულდა, როგორ შეძლო სკოლამ არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით მატერიალური და ადამიანური რესურსების კონცენტრირება სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისთვის.

მონიტორინგისა და შეფასების ანალიზი, რეკომენდაციები განხილულ იქნება პედსაბჭოს სხდომაზე. გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის შესადგენად.

სკოლის სტანდარტული განვითარების ექვსწლიანი გეგმის განხორციელების საორიენტაციო გრაფიკი

დასაშვებია გრაფიკში ცვლილებები

N	სტრატეგიული მიზნები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	პასუხისმგებელი
I	სკოლის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა								სკოლის დირეწტორი
II	სასკოლო სასწავლო-გეგმის თავსებადობა კონსოლიდირებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ამჟამად მოქმედი ე.ს.გ. ძალაშია 2025 წლამდე)								ც. ქათამაძე საგნობრივი კათედრის გამგე
III	მასწავლებელთა პროფესიული განვითარება								სკოლის დირექტორი,ხარისხის მართვის ჯგუფი
IV	ისტ სისტემის განვითარება და კომპიუტერიზაცია								მოადგილე სამეურნეო დარგში ისტ მენეჯერი
V	მატერიალური და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა								მოადგილე სამეურნეო დარგში
VI	პერსონალთა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა								სკოლის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კლასის დამრიგებლები

VII	მოსწავლეთა უზრუნველყოფა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით								სკოლის დირექტორის მოადგილე სასწ დარგში საგნ მასწ. კლ.ხელმძღვ
VIII	სასკოლო საზოგადოების წევრთა,მათ შორის მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა								კლ.დამრიგებლის კათედრა. მშობელთა წარმომადგენლები საფეხურების მიხედვით
IX	სკოლის ექვსწლიან გეგმაში ცვლილებების შეტანა, სიახლეების დანერგვა								სკოლის დირექტორი ადმინისტრასიასთან ერთად ხარხის განვითარების ჯგუფი
X	გეგმის შესაფასებლად მონოტორინგის ჯგუფის შექმნა (ყოველწლიური მონაცემები რა შესრულდა, რა დარჩა გასაუმჯობესებელი, გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი აქტივობები)								სკოლის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მშობელთა ჩართულობა